

კორპორაციული ფინანსების მართვის საბუღალტრო-ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემური მიდგომა

საქართველოში ეფექტური კორპორაციული ფინანსური მართვის პრაქტიკა მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაზეა და ამ პროცესს აფერხებს გარდამავალი პერიოდის ობიექტური ეკონომიკური სიძნელეები და მენეჯერთა გუნდის მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება.

ფინანსური მენეჯმენტის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციების წყაროა: ოფიციალური ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშები (ანგარიშგებები); შიდამეურნეობრივი საწარმოო (მმართველობითი) და ფინანსური აღრიცხვა; ფინანსური ანალიზი; ბიზნესგეგმის კომპონენტები; ფასების დინამიკის შესახებ ფინანსური და საბანკო ორგანიზაციების მონაცემები (ინფორმაციები) და სხვა. ყოველივე ეს, კვალიფიციური დამუშავების შემდეგ, ქმნის ფინანსური მენეჯმენტის მყარ და მდიდარ საინფორმაციო საფუძველს, მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად მომავალი წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

კორპორაციების ფინანსური მენეჯმენტი ხორციელდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. მათ შორის ძირითადია კორპორაციების (ფირმების) განვითარების პროგნოზებისა და გეგმების ფორმირება, მათი საქმიანობის დაფინანსების წესების არჩევა და რეალიზაცია, ფინანსური ოპერაციების რეგულირება და კონტროლი. ყოველივე აღნიშნული, როგორც წესი, ხორციელდება სოციალურფინანსური სამსახურების მიერ. ეს სამსახურები ორგანიზებას უწყვენ და აკონტროლებენ საწარმოებსა და კაპიტალის ბაზრებს შორის ფინანსურ ურთიერთობებს.

გარდამავალ ეკონომიკაში განსაკუთრებული ამოცანები დგას ფინანსური მართვის ორგანიზაციული უზრუნველყოფის ასპექტით. კერძოდ, ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს კორპორაციის ფინანსური მართვის შემდეგ საკითხებზე:

1. კორპორაციის ფინანსური მართვის გარემოზე – საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ლიკვიდურობაზე გარე ფაქტორების გავლენა, რომლებიც არ არის დამოკიდებული კორპორაციაზე. როგორიცაა, კრედიტის საპროცენტო განაკვეთი, ვალუტის კურსი, მოგების დაბეგვრის ნორმა, ფასები, ხელფასი და სხვა.

ზურაბ ლიპარტია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახ. უნივერსიტეტის
სრული პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ლილი კოლუაშვილი
საქართველოს უნივერსიტეტის
მაგისტრანტი
ქეთი შონია – აკაკი წერეთლის
სახელწმიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი

2. კორპორაციის ფინანსურ გარემოზე – საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ლიკვიდურობაზე ისეთი ფაქტორების გავლენა, რომლებიც დამოკიდებულია კორპორაციაზე, როგორიცაა, პროდუქციის მოცულობა და ასორტიმენტული სტრუქტურა, ინდივიდუალური ხელფასები და გასაყიდი საქონლის ფასები.

ამგვარად, ფინანსური მართვის სრულყოფა არსებითია ჩვენი ქვეყნისთვის, რამდენადაც დღემდე არ არის შემუშავებული სრულყოფილი თეორიულ მეთოდოლოგიური მიდგომები და კონცეფციები. არ გავგანხილავთ საკუთრივ, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, მართვის პრაქტიკული კრიტერიუმები. ამიტომ აუცილებელია ინტენსიურად გამოვიყენოთ, როგორც განვითარებული ქვეყნების, ასევე წარმატებული გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, ძალიან რთული იქნება საბაზრო ეკონომიკის წარმატებული მშენებლობა.

ფინანსური მენეჯმენტის (მართვის) თანამედროვე სისტემა ასახავს კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური საქმიანობის მართვის მექანიზმის უმჯიდროვეს კავშირს ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისა და ინსტრუმენტების მექანიზმებთან, რომელიც მოიცავს ამერიკული, ევროპული, და სხვა ეროვნულ სკოლათა თეორიული მიდგომების თავისებურებებს, თანამედროვე

სისტემის ფორმირება ძირითადად დაფუძნებულია თეორიულ კონცეფციებისა და მოდელების სისტემაზე, კერძოდ, რომლებიც განსაზღვრავენ კორპორაციის ფინანსური საქმიანობის მიზნებსა და ძირითად პარამეტრებს, უზრუნველყოფენ ინვესტირების ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის რეალურ საბაზრო შეფასებას, ფინანსური ბაზრის მონაწილეთა ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და საბაზრო ფასების ფორმირებასთან დაკავშირებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ კონცეფციურ ასპექტებს.

კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ეფექტური მართვა მიიღწევა რიგი პრინციპების რეალიზაციით, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

პირველი. საწარმოს მართვის საერთო სისტემასთან ინტეგრირება საქმიანობის, რომელ სფეროშიც არ უნდა ღებულობდეს საწარმოო მმართველობით გადაწყვეტილებას, იგი პირდაპირ, ან ირიბად გავლენას ახდენს ფულადი ნაკადების ფორმირებაზე და ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. ფინანსური მენეჯმენტი უშუალოდ დაკავშირებული საწარმოო მენეჯმენტთან, ინოვაციურ მენეჯმენტთან, პერსონალის მენეჯმენტთან და ფუნქციონალური მენეჯმენტის ზოგიერთ სხვა სახეობასთან. ეს განსაზღვრავს ფინანსური მენეჯმენტის შეზღუდული ინტეგრირების აუცილებლობას საწარმოს მართვის საერთო სისტემასთან.

მეორე. მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირების კომპლექსური ხასიათი. ყველა მმართველობითი გადაწყვეტილება ფინანსური რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების სფეროში და საწარმოს ფულადი ბრუნვის ორგანიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და პირდაპირ, ან ირიბ გავლენას ახდენს მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. რიგ შემთხვევებში ეს ზემოქმედება შეიძლება ატარებდეს ურთიერთ-საწინააღმდეგო ხასიათს. ასე მაგ: მაღალშემოსავლიანი ფინანსური ინვესტიციების განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს დეფიციტ საწარმოო საქმიანობის დაფინანსებაში და როგორც შედეგი – არსებითად ამცირებს ოპერაციული მოგების სიდიდეს (ე.ი. ამცირებს საკუთარი ფინანსური რესურსების ფორმირების პოტენციალს). ამიტომ ფინანსური მენეჯმენტი განხილული უნდა იქნას, როგორც კომპლექსური მმართველობითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთდამოკიდებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომელთაგანაც თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის საერთო შედეგიანობაში.

მესამე. მართვის მაღალი დინამიზმი. ყველაზე ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებაც კი ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების და ფულადი ბრუნვის ოპტიმიზაციის დარგში, რომელიც შემუშავებული და რეალიზებულია საწარმოში წინა პერიოდში, არ შეიძლება ყოველთვის განმეორებით იქნას გამოყენებული მისი ფინანსური საქმიანობის მომდევნო ეტაპზე. პირველ რიგში ეს დაკავშირებულია გარე სამყაროს (გარემოს) ფაქტორების მაღალ დინამიკასთან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ სტადიაზე და პირველ რიგში – ფინანსური ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებასთან. ამის გარდა, დროში იცვლება საწარმოს ფუნქციონირების შიდა პირობები, განსაკუთრებით მისი სასიცოცხლო ციკლის მომდევნო ეტაპებზე გადასვლისას, ამიტომ, ფინანსურ მენეჯმენტს უნდა მიენიჭოს მაღალი დინამიზმი, რომელიც გაითვალისწინებს გარე სამყაროს (გარემოს) ფაქტორების ცვლილებას, რესურსულ პოტენციალს, საწარმოო და ფინანსური საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებს, ფინანსურ მდგომარეობას და საწარმოს ფუნქციონირების სხვა პარამეტრებს.

მეოთხე. ცალკეული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისადმი მიდგომების ვარიანტულობა. ამ პრინციპის რეალიზაცია გულისხმობს, რომ ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადება ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების სფეროში და ფულადი ბრუნვის ორგანიზაციაში უნდა ითვალისწინებდეს ქმედების ალტერნატიულ შესაძლებლობებს. მმართველობითი გადაწყვეტილებების ალტერნატიული პროექტების არსებობისას მათი შერჩევა რეალიზაციისათვის უნდა ემყარებოდეს კრიტერიუმების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ფინანსურ ფილოსოფიას, ფინანსურ სტრატეგიას, ან საწარმოს კონკრეტულ ფინანსურ პოლიტიკას. ასეთი კრიტერიუმის სისტემა დგინდება საწარმოს მიერ.

მეხუთე. კორპორაციის (საწარმოს) განვითარების სტრატეგიულ მიზნებზე ორიენტირებულობა. მმართველობითი გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებული ესა თუ ის პროექტები, მიუხედავად მათი ეფექტიანობისა უნდა გადაიღონ თუ კი ისინი ეწინააღმდეგებიან კორპორაციის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებსა და შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საკუთარი ფინანსური რესურსების ფორმირებას მიმდინარე პერიოდში.

ამრიგად, ეფექტიანი კორპორაციული ფინანსების მართვა, რომელიც ორგანიზებულია ზემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდის ჩამოყალიბდეს

აუცილებელი რესურსული პოტენციალი, რათა უზრუნველყოფილ იქნას საკუთარი კაპიტალის უწყვეტი ზრდა, ამადღეს კორპორაციის კონკურენტული პოზიცია სასაქონლო და საფინანსო ბაზარზე. შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას სტაბილური ეკონომიკური განვითარება სტრატეგიულ პერსპექტივაში.

კორპორაციის წარმატებული მართვის უზრუნველყოფისათვის გამოყოფენ ფინანსური მენეჯმენტის შემდეგ კონცეფციებს: 1) ფულის ნაკადის კონცეფცია (*Cash Flow Concept*); 2) დროითი ღირებულების კონცეფცია (*The Time Value of Money Concept*); 3) შემოსავლიანობისა და რისკს შორის კომპრომისის კონცეფცია (*Risk and Return Tradeoff Concept*); 4) ოპერაციული და ფინანსური რისკების კონცეფციას (*Operating Risk and Financial Risk Concept*); 5) კაპიტალის ღირებულების კონცეფცია (*Cost of Capital Concept*); 6) ეფექტური ბაზრის კონცეფცია (*Capital Market Efficiency*); 7) ასიმეტრიული ინფორმაციის კონცეფცია (*Asymmetric information Concept*); 8) სააგენტო ურთიერთობათა კონცეფცია (*Agency Relations Concept*); 9) ალტერნატიული დანახარჯების კონცეფცია (*Opportunity Costs Concept*); 10) სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირების დროში შეზღუდვაობის კონცეფცია (*Going Concern Concept*); 11. სამეურნეო სუბიექტის ქონებრივი და სამართლებრივი განცალკევების კონცეფცია (*The Firm and its Owners Separation Concept*).

კორპორაციის მართვის სისტემის ელემენტებს შეადგენენ:

1) რესურსები. მათ მიეკუთვნება: ორგანიზაციის კადრები, კაპიტალი, მასალები, ტექნოლოგია, ინფორმაცია, რომლებიც მთლიანობაში ორგანიზაციის შიდა გარემოს წარმოადგენენ. თითოეული ორგანიზაციის მიზანი სხვადასხვა რესურსების გარდაქმნას ითვალისწინებს დასახული მიზნის მიღწევისათვის. ყველა სახის ორგანიზაციული ელემენტებიდან ყველაზე დიდი რეზერვები სწორედ შრომით რესურსებში იმალება კორპორაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამადღებისათვის.

2) ტექნოლოგია, ანუ კორპორაციის საქმიანობის მექანიზმი არის შრომის საწყისი ელემენტების ჯამურ (საბოლოო) შედეგებში გარდაქმნის საშუალება (ნედლეულის საქონელსა და მომსახურებაში გარდაქმნის ხერხი).

3) სტრუქტურა. კორპორაცია შეიძლება ორგანიზაციული, საწარმოო და სხვა სახის სტრუქტურის სახით იქნეს წარმოდგენილი, რომელიც დასახული მიზნების მიღწევისათვის მისი საქმიანობის ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფაქ-

ტორებისა და ელემენტების ურთიერთმოქმედების მახასიათებელია. ორგანიზაციის სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციაში მისთვის დამახასიათებელი შრომის დაყოფასთან და კონტროლის სისტემის აგების მოთხოვნილებებთან.

4) მართვა. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ თავის წინაშე დასახული მიზნების მიღწევა შეძლოს, მისი ქვედანაყოფების ამოცანები შრომის ვერტიკალური დაყოფის მეშვეობით უნდა იქნეს კორექტირებული, ამიტომ მართვა ორგანიზაციისათვის არსებითად მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაცია ხელმძღვანელებს უნდა ნიშნავდეს და მათი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის წრეს განსაზღვრავდეს.

მართვის განხორციელება შემდეგი სახის ოთხი ეტაპისაგან შედგება:

- მკაფიო და მოკლე მიზნების ჩამოყალიბება,
- აღნიშნული მიზნების მიღწევის საუკეთესო გეგმების დამუშავება,
- მუშაობის შედეგების კონტროლი, ანალიზი და შეფასება,
- დაგეგმილის შესაბამისად შედეგების კორექტირება.

5) დაგეგმვა განსაზღვრავს, თუ კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის რა უნდა გაკეთდეს აუცილებლად. იგი გრძელვადიანი (სტრატეგიული) და მოკლევადიანი გეგმების დამუშავებასთან არის დაკავშირებული. სტრატეგიული მიზნების არჩევანი კომპანიის განვითარებისათვის საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს. კორპორაციის საერთო მიზანი (მიზია) მისი არსებობის მკვეთრად გამოხატულ მიზეზს წარმოადგენს. მთლიანობაში საერთო მიზანი კორპორაციის სტატუსის დეტალიზაციას და სხვადასხვა ორგანიზაციულ დონეებზე ფუნქციური სტრატეგიის განსაზღვრისათვის მიმართულებისა და ორიენტირების უზრუნველყოფას ახორციელებს. სტრატეგიის განსაზღვრა შემდეგ სამ ძირითად საკითხზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად:

- როგორი მთავარი მიმართულებებით უნდა იქნეს განვითარებული საწარმოო?
- როგორი ცვლილებები გახორციელდება საქმიან სფეროში, რომელებიც ზემოქმედებას მოახდენს კომპანიაზე?
- როგორი სახით უნდა გახორციელდეს რესურსების (შრომითი, ფინანსური, მატერიალური), მოზიდვა, რომ დასახული მიზნები იქნეს მიღწეული?

სტრატეგიის რეალიზაციის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს: ტაქტიკა, პოლიტიკა,

პროცედურები და წესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე დაგეგმვის შემდეგი სტადიები შეიძლება გამოიყოს:

- ამოცანების განსაზღვრა, რომლებიც მიზნების მიღწევისათვის უნდა იქნეს გადაწყვეტილი,

- ოპერაციის შესრულების თანმიმდევრობის ჩამოყალიბება, კალენდარული გეგმის შექმნა,

- საქმიანობის თითოეული სახეობის შესრულებისათვის პერსონალის უფლებამოსილების დაზუსტება,

- დროებითი დანახარჯების შეფასება,

- ძირითადი ბიუჯეტის დამუშავების მეშვეობით რესურსებზე დანახარჯების განსაზღვრა, რომელიც ოპერაციის გახორციელებისათვის იქნება აუცილებელი,

- მოქმედების გეგმების კორექტირება.

6) **ფინანსები**, რომლის ქვეშ გაგებული უნდა იქნეს ყველა ფულადი სახსრები, რომელსაც კორპორაცია ფლობს ან რომელთა მოზიდვა შეუძლია თავისი საქმიანობისათვის. კორპორაციის ფინანსების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა (ფინანსური მართვა) ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანი პროგრამების დამუშავებაზე და რეალიზაციაზე უნდა იქნეს მიმართული.

ფინანსურ მენეჯმენტში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა **მეთოდი და მოდულების** სახეები კორპორაციის (საწარმოს) ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის აღწერისათვის, მთლიანად საწარმოს ან მისი ცალკეული სახეობის საქმიანობის ფინანსური სტრუქტურების დასახასიათებლად, აქტივებისა და ვალდებულებების კონკრეტული სახეების მართვის, ძირითად ფინანსურ მაჩვენებელთა პროგნოზირებისათვის, ფაქტორული ანალიზისა და სხვა კონკრეტული საქმიანობის შესაფასებლად.

კორპორაციის (კომპანიის) საბაზრო ღირებულების ზრდის ძირითად მიმართულებებად განიხილება:

- 1) მიმდინარე მოგების სტაბილური გენერაცია ისეთ მოცულობებში, რომლებიც საკმარისი იქნებოდა დივიდენდებად გასაცემად და პროგნოზირებადი (წარმოების მოცულობის ან მისი გადიდების) რეინვესტირების უზრუნველსაყოფად;

- 2) საწარმოო და ფინანსური რისკების მინიმიზება:

- ა) ეკონომიკურად დასაბუთებული ძირითადი საქმიანობის არჩევის; ბ) საერთო საქმიანობის დივერსიფიკაციისა და რესურსების წყაროების სტრუქტურული ოპტიმიზაციის; გ) გამოცდილი

მმართველობითი პერსონალის (მენეჯერების გუნდის) მოწვევის საფუძველზე;

- 3) „მიზნების ხის“ შედგენით მთავარი მიზნების მიღწევის გზების კონკრეტიზაცია და დეტალიზაცია. ამასთანავე შესაძლებელია შემდეგი მიმართულებები: საბაზრო, საფინანსო-ეკონომიური, საწარმო-ტექნოლოგიური და სოციალური მიზნების გამოყოფა;

- 4) მსხვილ კომპანიებში აქციონერების მიერ ბიზნესის მართვაში გამოცდილი მენეჯერების დელეგირება და მმართველობითი პერსონალის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების (კონტროლის) დაწესება და სხვა.

კორპორაციის მმართველობით იერარქიაში საკვანძო ადგილი ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობას ეკუთვნის. შესაბამისად, ფინანსური მენეჯერი უნდა ფლობდეს ფართო სპექტრს საკითხების მეთოდებსა და ხერხებს, რამდენად უნდა შეძლოს მან სწრაფი და არგუმენტირებული პროფესიული შეფასება საკუთარი კომპანიისა და პოტენციური კონტრაგენტების ფინანსური მდგომარეობის, მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილების დაფინანსებისა და ინვესტიციების სფეროებში მოსალოდნელი შედეგებისა და კაპიტალის ბაზარზე მოკლე და გრძელვადიანი ხასიათის ფინანსური ოპერაციების მიზანშეწონილობის თაობაზე. ამასთანავე, მენეჯმენტის საქმიანობაში უმთავრესი ადგილი კომპანიის საქმიანობის დაფინანსებას მყარი წყაროების მოძიებისა და მობილიზაციის საკითხებით უნდა განისაზღვროს.

პრაქტიკაში ცნობილია კორპორაციის (სამეურნეო სუბიექტის) **ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროების** შემდეგი **კლასიფიკაცია**:

- ა) საკუთარი და მასთან გათანაბრებული რესურსები;

- ბ) ფინანსურ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების, გასესხება-სესხების ოპერაციების და სხვა საქმიანობის შედეგად მობილიზებული რესურსები;

- გ) საბიუჯეტო ასიგნაციების სახით გადანაწილებული რესურსების მიღება;

- დ) სხვა სუბიექტების ფულადი სახსრების დროებითი (როგორც მიმდინარე სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების შედეგი) გამოყენება.

ამრიგად, ფინანსური მენეჯმენტის წარმატებული განხორციელება მიიღწევა ზოგად სამეცნიერო და კონკრეტული სამეცნიერო მეთოდების ერთობლივი სამეცნიერო ინსტრუმენტების საფუძველზე, რომელიც პრაქტიკულ ჭრილში მოიცავს ფინანსური აპარატის, წესების, მეთოდების და მოდულების ერთობლიობას, რომელთა

გამოყენებით შესაძლებელი იქნება კორპორაციის ფინანსების ეფექტიანი მართვის მიღწევა.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ორი ძირითადი მიმართულებით არის წარმოდგენილი. კერძოდ:

მეთოდები და ხერხები, რომლებიც ფინანსური მენეჯმენტის არსენალში იმყოფება, პირობად სამ დიდ ჯგუფად შეიძლება იყოს წარმოდგენილი. კერძოდ:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: დაკრედიტება, სასესხო ოპერაციები, საკასო ოპერაციები, საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაციები, დაზღვევის სისტემა, ანგარიშსწორების სისტემა, ფინანსური სანქციების სისტემა, სატრანსპორტო მომსახურების ოპერაციები, სატრანსპორტო ოპერაციები, საგირაო ოპერაციები, ამორტიზაციული ანარიცხების სისტემა, სადაბეგვრო სისტემა და სხვა.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: ფინანსური დაგეგმვა, საგადასახადო დაგეგმვა, პროგნოზირების მეთოდური, ფაქტორული ანალიზი, მოდელირება და სხვა.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება: ფინანსების მართვის სპეციალური მეთოდები, რომლებიც თანდათანობით მკვიდრდება საქართველოს სამეურნეო პრაქტიკაში. მათ საფუძველს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შეადგენენ, როგორცაა დივიდენდების პოლიტიკა, ფინანსური ლიზინგი (არენდა), ფაქტორინგული ოპერაციები, ფრანჩაიზიგი, ფიუჩერსები, სვოპები, პეჯირება და ა. შ.

ამრიგად, ფინანსურ მენეჯმენტში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი და მოდულების სახეები კორპორაციის (საწარმოს) ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის აღწერისათვის, მთლიანად საწარმოს ან მისი ცალკეული სახეობის საქმიანობის ფინანსური სტრუქტურების დასახასიათებლად, აქტივებისა და ვალდებულებების კონკრეტული სახეების მართვის, ძირითად ფინანსურ მანევრებელთა პროგნოზირებისათვის, ფაქტორული ანალიზისა და სხვა კონკრეტული საქმიანობის შესაფასებლად.

• **პირველადი ინსტრუმენტები:** კრედიტი და სესხები, ობლიგაციები, დანარჩენი ვალდებულებებითი ფასიანი ქაღალდები, მიმდინარე ოპერაციების კრედიტორული და დებიტორული დავალებები, წილობრივი ფასიანი ქაღალდები

• **მეორადი ინსტრუმენტები** (ე.წ. წარმოებული ფინანსურ სპეციალურ ლიტერატურაში – დერივატივებად წოდებული) ინსტრუმენტები, როგორცაა: ფინანსური ოპციონები, ფიუჩერსული ოპერაციები, ფორვარდული კონტრაქტები, პროცენტული სვოპები, სავალუტო სვოპები

და სხვ.

კორპორაციის მართვის ძირითადი მიმართულებები შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული, რომლებიც ორიენტირებული უნდა იქნეს მენეჯერებისათვის. კერძოდ:

კორპორაციის ხელმძღვანელობისათვის აუცილებელია:

- რაციონალური საწარმოო ციკლის უზრუნველყოფა,
- ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა, პროდუქციის გასაღების პროგნოზირება,
- პოტენციურ მომწოდებლებთან და კლიენტებთან სამეურნეო კავშირების მოგვარება,
- საინვესტიციო პორტფელის ხარისხის მხარდაჭერა იმისათვის, რომ არაპროდუქტიული აქტივები იყოს ნაკლები,
- კორპორაციის მართვის ოპტიმალური საორგანიზაციო სტრუქტურის არჩევა,
- სტრატეგიული და საოპერაციო დაგეგმვის უფრო ხარისხიანად განხორციელება,
- კორპორაციის ღირებულების სტაბილიზება და გადიდება,
- ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება;
- საგადასახადო გადახდების დროული მობილიზება არსებითი კანონმდებლობის ფარგლებში;
- კორპორაციის სუფთა შემოსავლის გადიდების შესაძლებლობის ძიება.

ფინანსური საქმიანობის მართვის ცენტრების ფუნქციური აგება არსებითად განსხვავდება სხვადასხვა ზომის ორგანიზაციებში გამოყენებული მართვის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარებით.

ფინანსური საქმიანობის მართვის ტრადიციული ინტეგრალური სტრუქტურების გვერდით კორპორაციის მართვის საერთო სისტემაში მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩარჩოებში გამოიყენება, ასევე ინტეგრაციის უფრო პროგრესული ფორმები. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა კომპანიის ფინანსური საქმიანობის ცალკეული ასპექტების მართვის კონცეფცია „პასუხისმგებლობის ცენტრების“ საფუძველზე. ეს კონცეფცია, რომელიც დამუშავებულია ამერიკელი ეკონომისტის **ჯ. ჰიგინსის** მიერ, ფართოდ გავრცელდა პრაქტიკული თავაღსაზრისით საკუთარი ფინანსური რესურსების ჩამოყალიბების, ფინანსური ნაკადების (ფულადი ნაკადების), ინვესტიციების და საწარმოო ფინანსური საქმიანობის სხვა ასპექტის მართვაში.


პასუხისმგებლობის ცენტრი წარმოადგენს კორპორაციის (საწარმოს) სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც სრულიად აკონტროლებს ფი-

მენეჯმენტი და მარკეტინგი

ნანსური საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტს, ხოლო მისი ხელმძღვანელი დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებას ამ ასპექტების ჩარჩოებში და სრული პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საგეგმო (ნორმატიული) ფინანსური მაჩვენებლების შესრულებაზე. როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, პასუხისმგებლობის ცენტრია ამ ქვედანაყოფის ხელმძღვანელის უფლება, რაც დაკავშირებულია ფინანსური საქმიანობის მართვის ცალკეულ ასპექტებთან ამ ქვედანაყოფის ჩარჩოებში, პარიტეტულად კორესპონდირებულია მისი პასუხისმგებლობის ზომასთან (სიდიდესთან), ფინანსური მართვის ზემდგომი სტრუქტურის (ორგანოს) მხრიდან კონტროლის თვალსაზრისით.

ასეთი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ფუნქციური მიმართულებების სხვადასხვაობა, მათი ადგილი ფინანსური მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში გამოიყენება, ასევე მათი ხელმძღვანელების უფლებამოსილებათა ფარგლები შესაძლებელს ხდის გამოიყოს კორპორაციის შიგნით პასუხისმგებლობის ცენტრების რიგი კონკრეტული ტიპები (იხ. ნახ. 1).

კორპორაციის ფინანსური მართვის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სისტემის ფორმირე-



ნახ. 1. კორპორაციის „პასუხისმგებლობის ცენტრების“ სქემა

ბა პასუხისმგებლობის ცენტრების საფუძველზე ითვალისწინებს მოქმედების შემდეგ ალგორითმს (იხ. ნახ. 2)

ამგვარად, ფინანსური მენეჯმენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სისტემის აგება სხვადასხვა ტიპის პასუხისმგებლობის ცენტრების შექმნის გზით ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ესენია: კორპორაციის საქმიანობის მასშტაბები, ამ საქმიანობის მრავალფუნქციონალურობა, პერსონალის რიცხოვნობა, წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და სხვ., ამიტომ პასუხისმგებლობის ცენტრების რაოდენობა და შემადგენლობის განსაზღვრა მოითხოვს ყოველი ორგანიზაციისათვის ინდივიდუალური კვლევის ჩატარებას.

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური მენეჯმენტი არის საქმიანობა, რომელიც მოიცავს აქტივების – მოპოვებას, ფინანსირებასა და მიზანმიმართულ ეფექტიან მართვას რაიმე მიზნის მისაღწევად. კორპორაციის ფინანსურ მენეჯმენტს აქვს სამი ძირითადი ფუნქცია – მიიღოს გადაწყვეტილებები: ა)ინვესტირებაზე, ბ)ფინანსირებაზე და გ)აქტივების მართვაზე.

განვიხილოთ თითოეული მათგანის არსი

ა) **გადაწყვეტილება ინვესტირებაზე.** გადაწყვეტილება ინვესტირებაზე არის ყველაზე მნიშვნელოვანი კორპორაციის სამი ძირითადი გადაწყვეტილებებიდან, რომლის საფუძველზე იქმნება ღირებულება. ინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღება იწყება კომპანიისათვის საჭირო აქტივების მთლიანი რაოდენობის განსაზღვრით. იმის მიხედვით, თუ აქტივების რა რაოდენობა სჭირდება ორგანიზაციას, მოხდება ინვესტირება კონკრეტულ სფეროში ან სფეროებში, და, პირიქით, შეიძლება მოხდეს ინვესტირების პროცესის შეწყვეტა.

ბ) **გადაწყვეტილება ფინანსირებაზე.** კორპორაციის მეორე უდიდესი მიმართულებაა გადაწყვეტილება ფინანსირებაზე. აქ კომპანიის ფინანსურ მენეჯერს უხდება დაფიქრება ბალანსის მარჯვენა მხარეს არსებულ სტრუქტურაზე. ზოგიერთ კორპორაციას აქვს დიდი ვალი (ვალდებულებები) მაშინ, როდესაც ზოგიერთ კორპორაციას იგი საერთოდ არ გააჩნია.

დღივდენდების პოლიტიკა განხილული უნდა იქნეს ასევე კორპორაციის, დაფინანსებაზე

ზ. ლიპარტია, ლ. კოლუაშვილი, ქ. შონია

ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციონირების თავისებურებების კვლევა ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ცალკეულ ასპექტებზე მათი გავლენის პოზიციებიდან

ცალკეული ტიპის პასუხისმგებლობის ცენტრების განსაზღვრა კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფების ჭრილში

სტრუქტურული ქვედანაყოფების იმ ხელმძღვანელთა უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის სფეროების სისტემის ფორმირება, რომლებიც განისაზღვრებიან როგორც პასუხისმგებლობის ცენტრები

პასუხისმგებლობის ცენტრის მიერ საგეგმო (ნორმატიული) ფინანსური დავალებების შემუშავება და შემსრულებამდე დაყვანა მიმდინარე ან დაკავშირებული ბიუჯეტების სახით

პასუხისმგებლობის ცენტრის მიერ დადგენილი ამოცანების შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფორმაციის (ანგარიშებების) მიღების, მისი ანალიზისა და გადახრების მიზეზების დადგენის გზით

ნახ. 2 ფინანსური მართვის ორგანიზაციული სისტემის ალგორითმი

გადაწყვეტილების მიღების განუყოფელ ნაწილად. აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ღირებულება უნდა იქნეს დაბალანსებული აქციონერების წილის დაფინანსებისთვის შენარჩუნებული შემოსავლების ალტერნატიული ღირებულების საპირისპიროდ.

თანადაფინანსების არჩევის შემდეგ ფინანსურმა ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს, როგორ მოიზიდოს საჭირო ფინანსური საშუალებები, აიღოს მოკლევადიანი სესხი თუ გრძელვადიანი ღიზინგი გააფორმოს, იქნებ, კორპორაციის ობლიგაციები ან აქციები გაყიდოს.


გ) გადაწყვეტილება აქტივების მართვაზე. აქტივების შეძენის და შესაბამისი დაფინანსებით უზრუნველყოფის შემდეგ აუცილებელია ამ აქტივების ეფექტიანი მართვა. ფინანსურ მენეჯერს არსებულ აქტივებზე აქვს ოპერაციული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ხარისხი. ეს პასუხისმგებლობები მოითხოვს, რომ ფინანსური მენეჯერი მეტად დაკავდეს მიმდინარე აქტივების მართვით, ვიდრე ფიქსირებული აქტივების მართვით.

ფინანსური ინფორმაციის მაღალი როლი ეფექტიანი გადაწყვეტილებების მომზადებასა და მიღებაში განაპირობებს, შესაბამისად, მაღალ მოთხოვნებს მისი ხარისხისადმი ფინანსური

მენეჯმენტი და მარკეტინგი

მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემის ფორმირებისას. ასე რომ ინფორმაციას, რომელიც ეროვნება ამ სისტემაში, წაყენება შემდეგი ძირითადი მოთხოვნები (იხ. ნახ. 3):

ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის მაჩვენებელთა სისტემა,



ნახ. 3 ფინანსური ინფორმაციისადმი წაყენებული მოთხოვნების სქემა

რომელიც ყალიბდება გარე წყაროებიდან, იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად: 1) მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ქვეყნის საერთოეკონომიკურ განვითარებას;

2) მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ფინანსური ბაზრის კონიუქტურას;

3) მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს კონტრაქტების და კონკურენტების საქმიანობას; 4) ნორმატიულ-მარეგულირებელი მაჩვენებლები.

ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ყალიბდება შიდა წყაროებისაგან, იყოფა სამ ჯგუფად:

1) კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები;

2) კორპორაციის მმართველობითი აღრიცხვის მაჩვენებლები;

3) კორპორაციის ფინანსურ განვითარებასთან დაკავშირებული ნორმატიულ-საგეგმო მაჩვენებლები.

ამრიგად, ყველა მაჩვენებლის გამოყენება, რომლებიც ყალიბდება გარე და შიდა წყაროებიდან, ასევე თანამედროვე ავტომატიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა შესაძლებელს ხდის, რომ ყოველ კორპორაციაში შეიქმნას ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზანმიმართული სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე, ასევე ფინანსური საქმიანობის ეფექტიან მიმდინარე მართვაზე.

საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი გზა იმ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლაა, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას ("ბიზნესის ანბანი და ენა") ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საქმეში.

ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს კორპორაციის (საწარმოს) რეალური ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური საქმიანობის შედეგები და საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. იგი უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

- ბუღალტრული ბალანსი;
- ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ;


- ანგარიშგება ფულადი საშუალებების შესახებ;
- ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
- ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია: აქტივები; ვალდებულებები; საკუთარი კაპიტალი; შემოსავლები; ხარჯები.

ინფორმაცია **საწარმოს ფინანსური მდგომარეობის** შესახებ ძირითადად მოცემულია ბუღალტრულ ბალანსში, ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ ძირითადად მოცემულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ მოცემულია ცალკე ანგარიშგებაში (კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება). ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები ურთიერთკავშირშია იმ თვალსაზრისით, რომ ასახავს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების სხვადასხვა ასპექტს.

ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური საქმიანობის შედეგების და ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ (იხ. ნახ. 4).

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მისი მომხმარებლისათვის წარდგენა აუდიტური



ნახ. 4 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ურთიერთკავშირის სქემა

დასკვნის მოპოვების პირობებში ევალება საწარმოს დირექტორთა საბჭოს და/ან სხვა ხელმძღვანელ ორგანოებს. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოქვეყნებული ინფორმაცია ექვემდებარება გამოქვეყნებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოვალეობაა განსაზღვროს რამდენად შეესაბამება ერთმანეთს წლიური ანგარიშგება და სამეურნეო სუბიექტის რეალური ფინანსურეკონომიკური მდგომარეობა, ამისათვის კი უნდა გაირკვეს, გამომდინარეობს თუ არა ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებიდან და მისი ზოგადი პრინციპებიდან.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტმა დოკუმენტურ წყაროებზე – პირველადი ბუღალ-

ტრულ დოკუმენტებზე და სხვა ეკონომიკურ-ფინანსურ სტანდარტებზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის, რეალობის, სისწორისა და ბუღალტრული აღრიცხვის სხვა ზოგადი პრინციპების დაცვის სრული სურათის ჩვენება, ის, თუ რამდენად ზუსტად ასახავს შესამოწმებელი ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური ანგარიშგება მის ფინანსურ მდგომარეობას, ეკონომიკური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბლანკი ი. ა. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ტ. 1. ქართული თარგმანი ლ. ქოქიაურის მიერ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2008. გვ. 7-18.
2. ინგოროვია ა., ცაავა გ. „ფინანსური მენეჯმენტი“: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. ტ. 2; 3. კაკულია რ., ბახტაძე ლ., თუთბერიძე გ., „კორპორაციის ფინანსები“, თბ. 2008.
4. „ფინანსური მართვა“ წიგნი F9 ACCA სახელმძ. KAPLAN PUBLISHED თარგმ. საქ. Bbaf-ის 2011.
5. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაპოვიჩი უმცროსი, „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“ მეორე მეთვრამეტე გამოცემა, თარგმნ. ინგლ. გაომც. „საქართველოს მაცნე“, თბ.
6. ძაძაძია რ., ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, საქ.ბაფ-ი, თბ. 2008.
7. ფაილოძე ნ., აღანია ჯ., ლიპარტია ზ., „საბუღალტრო საქმე“ საქ. ტექ. უნივ. თბ. 2010
8. Боди З, Мертон Р. “Финансы” Учебное пособие /пер. с англ. М.: Вильянс. 2007.
9. Бригхэм Ю; Хьюстон Дж. “Финансовый менеджмент. Экспресс-курс. 4-е изд. /Пер. Санг. – СПб.: „Питер” 2011.
10. Корпоративные финансы: Учебник для вузов/ Под ред. М.В.Романовского, А.И. Вострокнутовой. СПб.: Питер 2011.
11. О. Stephen A. Ross, Randolph W. Westerfield, Brdfold D Jordan, Fundamantals of corporate Finanse; 2000.

УЧЕТНО-ИНФОРМАЦИОННЫЕ СИСТЕМНЫЕ ПОДХОДЫ К ФИНАНСОВОМУ КОРПОРАТИВНОМУ МЕНЕДЖМЕНТУ

ЗУРАБ ЛИПАРТИЯ – доктор экономических наук, профессор сукхумского государственного университета, академик академии экономических наук Грузии

ЛИЛИ КОГУАШВИЛИ – магистрант
ШОНИЯ К. - специалист

В статье содержится материал по теории корпоративного финансового управления на предприятиях, помимо основных понятий лежащих в основе корпоративных финансов, а также рассматриваются учетно-информационные системные подходы к финансовому корпоративному менеджменту и приводится детальный разбор теорий и методов управления активами предприятий, источниками их финансирования, а также освещены современные проблемы корпоративного финансового управления.

ACCOUNTING AND INFORMATION SYSTEMS APPROACHES TO FINANCIAL CORPORATE MANAGEMENT

ZURAB LIPARTIA - Doctor of Economic Sciences, Professor Sukhumi State University, Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia

LILI KOGUASHVILI - Magister
SHONIA K. - The invited specialist of Akaki Tsereteli State University

This article contains material on the theory of corporate financial management in enterprises, in addition to the basic concepts underlying corporate finance, and considers the accounting information system approaches to corporate financial management and provides in-depth analysis of the theories and methods of asset management companies, their funding, as well as highlights contemporary issues of corporate financial management.